

საზოგადოებრივი მაუწყებლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულების გადაცემათა შეფასება

„მომბე“

წინასაარჩევნო პერიოდში „მომბე“ საგრძნობლად გამოირჩეოდა ტენდენციურობით მიმართველი გუნდის სასარგებლოდ. ადგილი ჰქონდა ფაქტებით არასწორ მანიპულირებას, ხელისუფლებისთვის უსიამოვნო თემების უკანა პლანზე გადატანას და ყურადღების გამახვილებას წინა ხელისუფლების ნეგატივზე.

ასე მაგალითად, 15 ნოემბრის გამოშვებაში გავიდა სიუჟეტი ევროპარლამენტარების გამოსვლაზე. ეს იყო საინტერესო თემა, რადგან საქართველოს მისამართით გაისმა ბევრი საქმიანი და კრიტიკული შენიშვნა, მაგრამ სიუჟეტში აქცენტი გაკეთდა იმ ევროპარლამენტარების გამოსვლებზე, რომლებიც შეშფოთებას გამოთქვამდნენ სალომე ზურაბიშვილზე გენდერული ნიშნით თავდასხმების გამო. მაშინ როცა ზურაბიშვილზე თავდასხმები ასეთ ხასიათს აშკარად არ ატარებდა (და ევროპარლამენტარები ასეთ განცხადებას მცდარ ინფორმაციაზე დაყრდნობით აკეთებდნენ), სიუჟეტში ამაზე აქცენტის კეთება არასწორია.

ზურაბიშვილის მისამართით მუქარებზე გავიდა სიუჟეტი 16 ნოემბერს, როცა ეს თემა იმ დღეს უკვე აშკარად აღარ იყო აქტუალური (მით უმეტეს, რომ ამ თემას არანაირი გაგრძელება არ მოჰყოლია იმ დღესაც კი, როცა იგი პირველად გახმოვანდა). 20 ნოემბერს დღის ყველაზე აქტუალური და მწვავე თემა იყო არასამთავრობოთა განცხადება ყალბი პირადობის მოწმობების შესაძლო ბეჭდვის შესახებ, მაგრამ „მომბეში“ ამაზე სიუჟეტი გავიდა მხოლოდ 28-ე წუთიდან. მთავარ თემად კი იმ დღეს გაშუქდა სააკაშვილის საკამათო განცხადებები „აფერისტი ებრაელი პიარშიკის“ შესახებ.

ყალბი პირადობის მოწმობების შესაძლო ბეჭდვის თემა უკეთ გაშუქდა 21 ნოემბერს, მაგრამ ამ სიუჟეტში ნახევარზე მეტი დრო დაეთმო იმაზე საუბარს, რომ მსგავს რამეებს თავის დროზე „ნაციონალური მოძრაობა“ აკეთებდა. იმავე დღეს გრიგოლ ვაშაძის შტაბის წევრ ვიტალი შკლიაროვს უწოდეს რუსი (მაშინ როცა ის ბელორუსიის მოქალაქეა და ძირითადად დასავლეთში მოღვაწეობს).

ზურაბიშვილის შტაბის ებრაელი წევრის ღირსების დაცვის შემდეგ ეს აშკარა მიკერძოებას ჰგავს. იმავე გადაცემაში მთელი 20 წუთი დაეთმო „ნაციონალური მოძრაობის“ დროინდელ დანაშაულებებსა და გადაცდომებს, რაც 2018 წელს გასული ყოველდღიური საინფორმაციო გამოშვებისთვის ალბათ არაადეკვატურია.

წინასაარჩევნო პერიოდში აშკარად მეტი დრო ეთმობოდა ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილ საპრეზიდენტო კანდიდატს. 26 ნოემბრის გამოშვებაში ვაშაძე საერთოდ არ გამოჩენილა მაშინ, როცა ზურაბიშვილს დიდი დრო დაეთმო. იმავე გამოშვებაში საბოლოო ჯამში 20 წუთი მიეძღვნა სიუჟეტებს, რომლებშიც ადგილი ჰქონდა მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“ კრიტიკას. „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივობები გაშუქდა ორ მოკლე სიუჟეტში, რომლებიც ჯამში სულ ორი წუთი გაგრძელდა. საერთოდ, „ნაციონალური მოძრაობის“ კრიტიკა მთელი წინასაარჩევნო პერიოდის უმთავრესი თემა იყო და რაღაც მომენტებში ეს ჟურნალისტთა ტერმინოლოგიაზეც კი კურიოზულად აისახა. მაგალითად, 16 ნოემბრის გამოშვებაში ჟურნალისტი იმეორებდა ტერმინს „ნაციონალური ხელისუფლება“, რაც აშკარად იყო თეა წულუკიანის მიერ იმ დღეს ერთ-ერთ სიუჟეტში ხშირად გამოყენებული ტერმინის პირდაპირი კოპირება. საზოგადოებრივი მაუწყებლის პოლიტიკური ჟურნალისტი თანამდებობის პირის ტერმინებს ასე პირდაპირ ალბათ არ უნდა იმეორებდეს.

29 ნოემბერს ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემა იყო არჩევნებზე საერთაშორისო დამკვირვებელთა მისიის პრესკონფერენცია, მაგრამ იგი გაშუქდა მხოლოდ 28-ე წუთიდან და იქაც ეჭვქვეშ დადგა დამკვირვებელთა მიერ

დაქირავებული მედიამონიტორინგის განმახორციელებელი პირების კომპეტენცია.

არჩევნების შემდეგ გადაცემა შედარებით დაბალანსებული გახდა, მაგრამ მწვავე შიდა პოლიტიკურ საკითხებზე კვლავაც ჰქონდა ადგილი ცალმხრივ გაშუქებებს. მაგალითად, 3 დეკემბრის გამოშვებაში გავიდა სიუჟეტი ქუთაისის აეროპორტში მომხდარ ინციდენტზე, რომელშიც კომენტარებს ძირითადად ინციდენტის ერთი მხარე (გორგოძის ახლობლები) აკეთებდა. 11 დეკემბრის გამოშვებაში ძალიან მოკლე სიუჟეტი გავიდა ზუგდიდის მე-6 სკოლის დირექტორის გარდაცვალების შესახებ, მისი ოჯახის წევრების მხრიდან რაიმე კომენტარის გარეშე. იმავე დღეს გავიდა სიუჟეტი ვალების განულებაზე, რომელშიც ირწმუნებოდნენ, რომ განუღებდა 3 მილიარდი (!).

„მომბე“ დიდ დროს უთმობდა საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებს. სიუჟეტები იყო ხანგრძლივი და პოზიტიური. მაგრამ აქაც ხდებოდა ხელისუფლებისათვის უსიამოვნო თემების უკანა პლანზე გადაწევა. მაგალითად, 15 ნოემბერს სიუჟეტში, რომელიც მიეძღვნა ევროპარლამენტის რეზოლუციას ასოცირების შეთანხმების შესრულების თაობაზე, არაფერი ითქვა საქართველოს მისამართით კრიტიკულ შენიშვნებზე (რომლებიც საკმარისზე მეტი იყო). კომენტარები რეზოლუციაზე სიუჟეტში მხოლოდ მმართველი გუნდის წევრებმა გააკეთეს, რომლებმაც აქცენტი, ცხადია, მხოლოდ პოზიტივზე გააკეთეს.

სამწუხაროდ, არაობიექტურობა იკვეთებოდა მაშინაც, როცა საქმე საგარეო პოლიტიკას ეხებოდა. 11 დეკემბრის გამოშვებაში გავიდა სიუჟეტი, რომელიც მიეძღვნა ჟურნალ „ფორინ პოლისის“ სტატიას საქართველოს მთავრობის მიერ ამერიკის ელჩის კანდიდატურის შესაძლო დაბლოკვის თემას. სიუჟეტში ჟურნალისტმა განაცხადა, რომ საქართველოს ასეთი რამის გაკეთება არ შეუძლია. ეს განცხადება ბუნდოვანი და შეცდომაში შემყვანია, რადგან საქართველოს, როგორც ყველა სუვერენულ სახელმწიფოს, იურიდიულად აქვს უფლება ნებისმიერ ქვეყანას დაუბლოკოს ელჩის კანდიდატურა.

ცხადია, იყო შემთხვევები, როცა საკითხები შუქდებოდა დაბალანსებულად და ისმოდა განსხვავებული მოსაზრებები. ასეთი იყო მაგალითად, 13 დეკემბერს სიუჟეტი დაგროვებით პენსიაზე, მაგრამ რამდენიც არ უნდა ყოფილიყო ასეთი სიუჟეტი, ისინი იფარებოდა იმ რეპორტაჟებით, სადაც იკვეთებოდა პოლიტიკური მიკერძოება და საბოლოო ჯამში ეს ყველაფერი ერთად არც ისე სახარბიელო სურათს ქმნიდა.

პოზიტივის მხრივ კიდევ უნდა აღინიშნოს, რომ „მოამბე“ საგრძნობ ყურადღებას უთმობს შშმ პირების პრობლემებს და აშუქებს იმ საქმიანობას, რომელსაც მთავრობა ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად ეწევა.

„არჩევნები 2018“

ამ გადაცემის მონიტორინგის დროს (სულ ვნახე ექვსი გამოშვება) მხოლოდ ერთხელ იყო სტუმარი ოპოზიციიდან (თამარ ჩერგოლეიშვილი). სტუმართა უდიდეს უმრავლესობას წარმოადგენდა სახელისუფლო გუნდი ან მათი მხარდამჭერები. თავად წამყვანები გამოირჩეოდნენ საგრძნობი სიმპათიით მმართველი გუნდის მიმართ და თითქმის არ მალავდნენ უარყოფით დამოკიდებულებას ოპოზიციის მიმართ, ასევე მათ მიმართაც, ვინც კრიტიკულად იყო განწყობილი ხელისუფლებისადმი.

მაგალითად, 20 ნოემბრის გამოშვებაში გაისმა სპეციფიკურად „რუსთავი2“-ის კრიტიკა, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების კრიტიკა იმის გამო, რომ ამ უკანასკნელებმა გააკეთეს განცხადება ყალბი პირადობის მოწმობების შესაძლო ბეჭდვის შესახებ. არასამთავრობოებს უწოდეს „პოლიტიკურად დაინტერესებული მხარე“. „ნაციონალურ მოძრაობაზე“ ითქვა, რომ იგი „არჩევნებს აყალბებდა“ მაშინ, როცა ახლანდელი ხელისუფლება „არჩევნებს კარგად ატარებს“.

22 ნოემბრის გამოშვებაში გადაცემის მთავარმა წამყვანმა „უსასრულო ზნედაცემულობა“ უწოდა წინა დღეს ნიკა გვარამიას იმ ცნობილ გამოსვლას (ისე,

რომ არ უხსენებია მისი სახელი), რომელშიც ამ უკანასკნელმა ზურაბიშვილის პირადი ცხოვრების დეტალებზე ისაუბრა. წამყვანის ემოცია აქ შეიძლება გასაგები იყოს, მაგრამ ობიექტურობისათვის მას წესით, ასევე უნდა ეხსენებინა ის კონტექსტი, რის ფონზეც გააკეთა გვარამიამ თავისი განცხადება (თეიმურაზ გორჯესტანის მიმართვა ვაშაძის შვილის მისამართით).

გადაცემაში საინტერესოდ გაშუქდა რამდენიმე აქტუალური თემა. მაგალითად, 15 ნოემბერს სტუმარმა იუსტიციის სამინისტროდან ამომწურავად ისაუბრა ჰააგის სასამართლოში საქართველოს სარჩელზე და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე. სამწუხაროდ, ამ თემის გაშუქებისას საკმაოდ დიდი დრო წაიღო თეა წულუკიანის ინტერვიუმ, რომელშიც მან საკითხის განმარტების ნაცვლად „ნაციონალური მოძრაობა“ აკრიტიკა.

მაგრამ გადაცემაში მოწვეული ზოგიერთი სტუმარი კითხვის ნიშნებს ბადებდა და ასევე კითხვის ნიშნებს ბადებდა წამყვანთა დამოკიდებულება მათ მიმართ. მაგალითად, 26 ნოემბერს სტუმრად იყო ვინმე თამაზ გაბისონია, რომელიც ამტკიცებდა, რომ არჩევნებზე პოლიტიკურ პარტიებს დიქტატი აქვთ დამყარებული და ამიტომ საჭიროა არჩევნების ბოიკოტი. იმავე დღეს მეორე სტუმრად იყო ლევან გიგინეიშვილი, რომელიც „ნაციონალური მოძრაობისათვის“ „ზნეობრივი ნიურნბერგის“ მოწყობას მოითხოვდა. მასთან საუბარში გადაცემის მთავარმა წამყვანმა კიდევ ერთხელ ისაუბრა “უსასრულო ზნედაცემულობაზე” და თქვა, რომ ამ არჩევნებზე „სასწორზე დევს ზნეობა“. „ზნეობრივი ნიურნბერგის“ თემა გაისმა 21 ნოემბერსაც, როცა სტუმრად იყო ზაზა შათირიშვილი. მან საუბრისას თქვა რამდენიმე საკამათო რამ, რაზეც წამყვანებს, წესით, შეკითხვა მაინც უნდა დაესვათ (მაგალითად, რომ 1921 წლის 25 თებერვალი ქართველების ბრალიც იყო), მაგრამ მათ ყველა ნათქვამი გაატარეს.

ასევე უნდა ითქვას, რომ ამ გადაცემის ყველა წამყვანი აშკარად ერთი იდეოლოგიის მიმდევარია (მემარცხენეები და სოციალისტები). უკეთესი იქნებოდა სხვა იდეოლოგიებიცა და მიმართულებებიც ყოფილიყო წარმოდგენილი. მით უმეტეს, რომ წამყვანთა მხრიდან მათი იდეოლოგიური

ანგაჟირება აშკარად იგრძნობოდა. მაგალითად, 26 ნოემბრის გადაცემაში გაისმა ისეთი ტერმინები, როგორცაა „მუშათა კლასი“ და „კაპიტალისტები“.

გადაცემა ძირითადად უყურადღებოდ არ ტოვებდა აქტუალურ თემებს. თუმცა 29 ნოემბერს საერთოდ არ უხსენებიათ არჩევნებზე საერთაშორისო დამკვირვებელთა მხრიდან გამოთქმული კრიტიკა.

„ახალი კვირა“

ეს გადაცემა წინასაარჩევნო პერიოდში ასევე გამოირჩეოდა საგრძნობი მიკერძოებით მმართველი გუნდის მიმართ და ოპოზიციის მიმართ მეტად კრიტიკული დამოკიდებულებით. აქაც ჰქონდა ადგილი ფაქტებით არასწორ მანიპულირებას.

ასე მაგალითად, 18 ნოემბრის გამოშვებაში (15 ნოემბრის „მოამბის“ ანალოგიურად) არასწორად გაკეთდა აქცენტი იმ ევროპარლამენტართა გამოსვლაზე, რომლებიც არასწორ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოთქვამდნენ შეშფოთებას ზურაბიშვილზე გენდერული ნიშნით თავდასხმის გამო. იმავე დღეს 10 წუთი დაეთმო სიუჟეტს რუსთავის ბაზრობის თემაზე, რომელიც მიეძღვნა „ნაციონალური მოძრაობისა“ და „კოჰაბიტაციის“ კრიტიკას. თავად რუსთავის ბაზრობის თემა „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროინდელია და, წესით, ცოტა მოძველებული უნდა იყოს. 25 ნოემბერს დიდი დრო დაეთმო „პატრიოტთა ალიანსის“ აქციის გაშუქებას, რაც იმ დროისთვის მართლაც აქტუალური იყო, მაგრამ ამას დაემატა ის, რომ წამყვანმა პასუხი გასცა სააკაშვილის კრიტიკას საზოგადოებრივი მაუწყებლის მისამართით და საბოლოო ჯამში „ნაციონალური მოძრაობის“ კრიტიკას დაეთმო მთელი ნახევარი საათი (გადაცემის ნახევარი). იმავე დღეს სიუჟეტში ვალების ჩამოწერაზე ითქვა, რომ „ბანკი ქართუ“ იხდის 1.5 მილიარდს, რაც ნამდვილად არასწორია.

2 დეკემბერს რუსთავში საპარლამენტო არჩევნებში ვაშაძის გამარჯვება ახსნეს იმით, რომ რუსთავში „პარადოქსები ხდება“. კონკრეტულად, ის, რომ იქ 2013

წელს ოცნების პარტიის სხდომაზე ნაციონალები შევარდნენ და საბოლოოდ იქ ნაციონალები ოცნებას შეუერთდნენ (ალბათ მინიშნება ყოფილი ნაცების მხრიდან ჩუმ საბოტაჟზე არჩევნების დროს). იმავე დღეს დიდი დრო დაეთმო კვლავ “კოჰაბიტაციის” კრიტიკას.

არჩევნების პერიოდში გავიდა რამდენიმე დაბალანსებული და საინტერესო სიუჟეტი. მაგალითად, ასეთი იყო 25 ნოემბრის სიუჟეტი სიძულვილის ენაზე საარჩევნო კამპანიაში, მაგრამ ეს საბოლოო სურათს დიდად არ ცვლიდა.

გადაცემა კარგად და საინტერესოდ აშუქებდა საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებს. ამ მხრივ, კარგი სიუჟეტი იყო 9 დეკემბერს ნატო-საქართველოს ურთიერთობებზე. საერთოდ, საგარეო პოლიტიკის თემაზე გადაცემა კარგად მუშაობს. 2 დეკემბერს კარგად გაშუქდა რუსულ-უკრაინული კონფლიქტის ბოლო გამწვავება ქერჩის სრუტეში. ამ თემებზე სტუმრებიც კარგად იყვნენ შერჩეული.

„რეალური სივრცე“

ეს არის მეტად დაბალანსებული გადაცემა, რომელიც ეძღვნება საინტერესო და აქტუალურ თემებს. სტუმრები კარგად არიან შერჩეული და წარმოდგენილია როგორც განსხვავებული პოლიტიკური მოსაზრებები, ასევე იდეოლოგიებიც. დებატები მიმდინარეობს მშვიდად. წამყვანი ობიექტურია და არანაირ მიკერძოებას არ ამჟღავნებს.

ერთადერთი შენიშვნა, რაც ამ გადაცემის მიმართ შეიძლება გამაჩნდეს, არის ის, რომ მას აკლია მხარეთა შორის კამათი, რაც მას საჭირო დინამიურობას შემატებდა.

„42-ე პარალელი“

ეს არის საინტერესო და ინფორმატიული გადაცემა. შერჩეულია აქტუალური საკითხები საერთაშორისო თემატიკიდან. წამყვანი საკმაოდ კარგად გამოიყურება. გადაცემას აქვს რამდენიმე სუსტი მხარე, რომელთა აღმოფხვრა საკმაოდ იოლად შეიძლება და ეს მას კიდევ უკეთესს გახდის.

პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ სიუჟეტში დიდძალი ინფორმაციის ფონზე ანალიზის დეფიციტი იგრძნობა. სიუჟეტების ავტორები ზოგჯერ კარგად და საინტერესოდ საუბრობენ, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ეს არ გამოსდით, ალბათ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ყველა საკითხში არ აქვთ საკმარისი კომპეტენცია. ასე მაგალითად, 1-ელი დეკემბრის გამოშვებაში სიუჟეტი ბრეჟნევიტზე არც ისე დამაჯერებელი იყო. 8 დეკემბერს საკმაოდ კარგი სიუჟეტი გავიდა პრეზიდენტ ბუშზე (უფროსზე), მაგრამ ავტორს მაინც გამორჩა მრავალი საინტერესო საკითხი (მაგალითად, ბუშის კარიერა პრეზიდენტობამდე). ალბათ კარგი იქნება ზოგიერთ საკითხზე კომენტარებისთვის გარედან ცნობილი ექსპერტის მოწვევა.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ არის ისეთი სიუჟეტები, რაც ქართული აუდიტორიისთვის არც ისე საინტერესოა. მაგალითად, 24 ნოემბერს გავიდა სიუჟეტი არგენტინის შიდა პოლიტიკურ სკანდალებზე. ალბათ ჯობს ასეთი თემების უბრალოდ იგნორირება და ქართული აუდიტორიისთვის საინტერესო და აქტუალურ საკითხების უფრო ღრმად გაშუქება.

„მომბე დღის თემა“

ამ გადაცემაში ტრიბუნა ეთმობა განსხვავებულ პოლიტიკურ პოზიციებს და თემაც ადეკვატურად არის შერჩეული. თუმცა წამყვანი ნაკლებად უსვამს მწვავე შეკითხვებს მმართველი გუნდის წევრებს. მაგალითად, 3 დეკემბრის გამოშვებაში გაივალსკიმ საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნები თავისი ნეგატივით ამერიკის არჩევნებს შეადარა. იმავე გამოსვლაში მანვე განაცხადა, რომ პროპორციული არჩევნები ცუდია (!). წამყვანს ამაზე, წესით, რაიმე რეაგირება



უნდა მოეხდინა. მით უმეტეს, რომ იმავე გადაცემაში ოპოზიციონერ პაატა დავითაიას მართებულად დაუსვა მწვავე შეკითხვები.

წამყვანი ასევე არ უწყობს ხელს განსხვავებული იდეოლოგიების წარმოჩენას. 10 დეკემბრის გამოშვება მიეძღვნა იუსტიციის სახლის ბლოკირებას და უცხოელებზე მიწის გაყიდვის გაპროტესტებას. სტუმრად იყვნენ ჯონდი ბალათურია და ოთარ დანელია. ორივე გამოთქვამდა აზრს, რომ უცხოელებზე მიწა არ უნდა იყიდებოდეს. წამყვანს ერთხელაც არ დაუყენებია ეჭვის ქვეშ მათი შეხედულება. თავი რომ დავანებოთ იმას, რომ არ ყოფილა მიწვეული განსხვავებული იდეოლოგიისა და შეხედულების სტუმარი.

„აქტუალური თემა“

ამ გადაცემაში ისმის განსხვავებული პოლიტიკური მოსაზრებები. დებატები დაბალანსებულია, სტუმრებიც მეტ-ნაკლებად საინტერესოდ არიან შერჩეული. შიგადაშიგ იკვეთება წამყვანის ლოიალური დამოკიდებულება მმართველი გუნდის მიმართ და კრიტიკული დამოკიდებულება ოპოზიციის მიმართ. მაგალითად, 7 დეკემბრის გამოშვებაში გუბაზ სანიკიძეს მან მწვავე კითხვები დაუსვა, ზვიად კვაჭანტირაძეს კი ნაკლებად. გადაცემა ბევრს მოიგებს, თუკი წამყვანი ყველა მხარესთან ერთნაირად მწვავე იქნება.

„კვირის ინტერვიუ“

გასაგები მიზეზების გამო, ამ გადაცემის მხოლოდ ერთი გამოშვების ნახვა მოხერხდა (13 დეკემბერი). წამყვანი მომზადებულად გამოიყურებოდა და სტუმარიც საინტერესო იყო (ელენე ხოშტარია). რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ წამყვანი ცოტა მიკერძოებული იყო მმართველი გუნდის სასარგებლოდ, რადგან ცდილობდა არჩევნების ნეგატივი ოპოზიციისათვის გადაებრალებინა.